საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №189
2022 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0986 – სსიპ – „საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„75	0987	სსიპ – „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი „მართვე“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი – 4248 – „ა(ა)იპ – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„608	4248	ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე“;

გ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5150 – ა(ა)იპ – ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „მამისონი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1511	5151	ა(ა)იპ – „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“;
1512	5152	ა(ა)იპ – „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**